20 და 21 ივლისს გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების საპასუხო მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები. გთავაზობთ ამ მატჩებში საქართველოს გუნდების მონაწილეობის სტატისტიკურ მონაცემებს.

„ნისტრუ“ (კიშინიოვი) – „დინამო“ (თბილისი) 1:1 (1:0). რესპუბლიკური სტადიონი. 21 ივლისი.

„ნისტრუ“: ჩისტოვი, შულაევი, სლავინსკი, სირბუ, საველიევი, რალევიჩი, კუზნეცოვი, ვასილიევი (ფლენტია, 85), საფრონენკო, ფინკი (პროცენკო, 85), პავლოვი (ტროპანეცი, 85).

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია (გურული, 46), ცაავა (ფანცულაია, 59), მესხი.

გოლები: პავლოვი (43-ე წუთი, ჭედია (82).

მსაჯი ა. სავკინი (მოსკოვის ოლქი).

გააფრთხილეს კეტაშვილი.

ლელო 26.07.1988